



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030116531338614

№ 01-32/ო

11 / თებერვალი / 2014 წ.

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 38-ე მუხლის 2¹ პუნქტის მოთხოვნათა შესრულების ხელშეწყობის მიზნით,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) მეორე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეცეპტზე ეტაპობრივად გადასვლასთან დაკავშირებით თანდართული სარეკომენდაციო სქემა (დანართი 1);

ბ) „გადაუდებელი დახმარების ჩანთა აფთიაქისათვის“ - მედიკამენტების ნუსხა, რომლებიც დაექვემდებარება მედიკამენტების ურეცეპტო გაცემას აფთიაქებში პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების დროს (დანართი 2).

2. შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებმა, თანდართულ სარეკომენდაციო სქემაზე დაყრდნობით, უზრუნველყონ მეორე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ფორმა №3 რეცეპტის ბლანკზე გამოწერის პრაქტიკის ეტაპობრივი დანერგვის გეგმა-გრაფიკის შემუშავება და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის (შემდგომში - სამინისტრო) წარმოდგენა:

ა) ამბულატორიული და ჰოსპიტალური სამედიცინო დაწესებულებები გეგმა-გრაფიკს წარმოადგენენ „სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის პასპორტიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 აგვისტოს N01-33/ნ ბრძანების ფორმატში;

ბ) სოფლის ექიმები ინფორმაციას წარმოადგენენ ერთჯერადად, შესაბამისი წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმებთან ერთად.

3. დაევალოს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს და სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის

დეპარტამენტს:

ა) უზრუნველყონ ამ ბრძანების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა;

ბ) ფორმა №3 რეცეპტის ბლანკზე გამოწერის პრაქტიკის ეტაპობრივი დანერგვის მდგომარეობის შესწავლის მიზნით, სამიზნე ობიექტების (სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა და აფთიაქების) შერჩევა და მონიტორინგის პილოტური ეტაპის ჩატარება;

გ) ყოველი თვის ბოლოს მოამზადონ ანგარიში და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს წარუდგინონ ინფორმაცია მეორე ჯგუფისათვის მიკუთვნიებული ფარმაცევტული პროდუქტის ფორმა №3 რეცეპტის ბლანკზე გამოწერის პრაქტიკის ეტაპობრივი დანერგვის მდგომარეობის შესახებ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი



დიმიტრი მახათაძე

„გადაუდებელი დახმარების ჩანთა აფთიაქისათვის” - მედიკამენტების ნუსხა, რომლებიც დაექვემდებარება მედიკამენტების ურეცეპტო გაცემას აფთიაქებში პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების დროს

მედიკამენტების ნუსხა, რომლებიც დაექვემდებარება ურეცეპტო გაცემას აფთიაქებში პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების დროს				
1	ეპინეფრინი (ადრენალინი)	Epinephrine (Adrenaline)	1მგ/მლ 1 მლ ი.ვ., ი.მ. და კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი	ანაფილაქსიის საწინააღმდეგო
2	სალბუტამოლი	Salbutamol	100 მკგ/დოზაში 200 დოზა საინჰალაციო აეროზოლი	ბრონქული ასთმის საწინააღმდეგო
3	კეტოროლაკი	Ketorolac	30მგ 1 მლ ი.ვ. და ი.მ. საინექციო ხსნარი	ტკივილგამაყუჩებელი
4	ატროპინი	Atropine	1მგ/მლ (0,1%), 1მლ ი.ვ., ი.მ. და კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი	სპაზმოლიზური
5	ფუროსემიდი	Furosemide	20მგ/2მლ ი.ვ. და ი.მ. საინექციო ხსნარი	შარდმდენი
6	დექსამეტაზონი	Dexamethasone	4მგ/მლ 1 მლ ი.ვ. და ი.მ. საინექციო ხსნარი	ანაფილაქსიის საწინააღმდეგო
7	პრედნიზოლონი	Prednisolone	25მგ/მლ 1მლ ი.ვ. და ი.მ. საინექციო ხსნარი	ანაფილაქსიის საწინააღმდეგო
8	ინსულინი	Insulin	10მლ 100ერ/მლ კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი	ანტიდიაბეტური
9	დიფენჰიდრამინი (დიმედროლი)	Diphenhydrami num	1% 1მლ ი.ვ. და ი.მ. საინექციო ხსნარი	ანტიჰისტამინური
10	გლუკოზა	Glucose	40% 5მლ სტერილური ი.ვ. საინექციო ხსნარი	ჰიპოგლიკემიის საწინააღმდეგო
11	ნიფედიპინი	Nifedipine	10მგ სუბლინგვალური ტაბლეტი	კალციუმის ანტაგონისტი
12	მეტოპროლოლი	Metoprolol	50მგ ტაბ.	ბეტა- ადრენობლოკატორი
13	კაპტოპრილი	Captopril	25 მგე ტაბ.	აგვ-ინჰიბიტორი
14	ნიტროგლიცერინი	Nitroglycerin	სუბლინგვალური ტაბლეტი	ნტიანგინალური